საქართველოს მეჩაიეთა ახალი გამარჯვება:



შესრულებულია X ხუთწლედი, დაიწყო XI ხუთწლედის მიჯნების აღება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 24 მაისი № 119 (17762) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვისწავლოთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ ლენინურად, კომუნისტურად!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

საქართველოს კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის საზეიმო პლენუმზე

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

საბჭოთა საქართველოს კომკავშირელებო და ახალგაზრდებო!

ყველა თაობის კომკავშირული მოძრაობის ვეტერანებო!

დიდად პატივცემულო სტუმრებო!

დღეს საბჭოთა საქართველოს ღირსსახსოვარი დღესასწაული აქვს — ზეიმით აღვნიშნავთ რესპუბლიკის ორდენოსანი ლენინური კომკავშირის — საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი საბრძოლო რაზმის დაბადების სახელოვან მე-60 წლისთავს!

ნება მიბოძეთ, შევასრულო სასიამოვნო მისია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ, ზაზიმონ პლენუმის მონაწილეებს და თქვენი სახით — რესპუბლიკის ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას, საქართველოს კომკავშირის ყველა თაობის წარმომადგენლებს — კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის, კულტურული რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირებს, ხუთწლედების მეწინავეებს ნათელი დღესასწაული — საბჭოთა საქართველოს ლენინური კომკავშირის იუბილე!

რესპუბლიკის კომკავშირის გმირული ისტორია სასიქადულო მატიანეა, რომელიც ასახავს რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების ბრძოლას, სწავლასა და გამარჯვებებს ლენინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით.

ლენინური კომკავშირის ძალა პარტიული ხელმძღვანელობაა. ეს ცხოვრებით არის შემოწმებული და ისტორიით — დადასტურებული!

„საბჭოთა ადამიანებმა იციან: იქ, სადაც ჭირს, წინ კომუნისტები არიან. საბჭოთა ადამიანებმა იციან: რაც უნდა მოხდეს, კომუნისტები არ უმტყუნებენ. საბჭოთა ადამიანებმა იციან: იქ, სადაც პარტიაა, იქ წარმატებაა, იქ გაბარჯვებაა!"

ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებში გამოსჭვივის ლენინური კომკავშირის კრედოც, მისი რწმენის სიმბოლო.

კომკავშირი პარტიისაგან სწავლობს იმ მეცნიერებას და ხელოვნებას, თუ როგორ გახდეს პირველმკვლევავი, როგორ დაძლიოს სიძნელეები, მოიპოვოს გამარჯვება, გაამართლოს ხალხის ნდობა.

დღეს, როგორც იცით, რესპუბლიკურ პრესაში საქართველოს კომკავშირის მე-60 წლისთავის გამო გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რესპუბლიკის კომპარტია დიდად აფასებს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის წვლილს ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, კომკავშირის აქტიურ მონაწილეობას რესპუბლიკისათვის იმ ისტორიული საპროგრამო დადგენილებების განხორციელებაში, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, საქართველოში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის წარმოების გადიდების, სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების თაობაზე.

ეს მოვლენები რესპუბლიკის ცხოვრების ნიშანსვეტები გახდა. ჩვენი ახალგაზრდობის წარმატებული მონაწილეობა პარტიისა და მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის შესახებ მიღებული დადგენილებებით განსაზღვრული ამ ამოცანების გადაწყვეტაში კომკავშირის პოლიტიკური სიმწიფის, სოციალური აქტიურობის, იდეური წრთობისა და მტკიცე ორგანიზაციული შეკავშირების სასინჯ ქვად იქცა. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომკავშირმა პირნათლად ჩაბარა ეს ისტორიული გამოცდა.

უკანასკნელ ხანს კომკავშირულ აქტივთან, რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან ბევრი შეხვედრა გვქონდა. ეს შეხვედრები გაიმართა კომკავშირის XXXI ყრილობაზეც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშიც, სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკურ კრებაზეც, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზეც და ბევრი, სხვა ღონისძიების დროს. დაწვრილებით და მკაფიოდ, უაღრესად ცხადად განისაზღვრა კომკავშირის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყოველთვის გვახარებს ახალგაზრდებთან შეხვედრა. ეს ხომ, არსებითად, შეხვედრაა რესპუბლიკის ხვალინდელ დღესთან — შეხვედრაა მომავალთან, გარკვეული თვალსაზრისით, შეხვედრა საკუთარ ახალგაზრდობასთან.

ჩვენი კომკავშირის სამოცი წელი, არსებითად, საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესანიშნავი, შთამბეჭდავი პანორამაა. კომკავშირის მიერ გამოვლილი გზა ჩვენი რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა და აყვავების გზაა. საქართველოს კომკავშირი მუდამ მხარში ედგა პარტიას, აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტური მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში. სწორედ კომკავშირელები, დიდი ლენინის მოძღვრებით შთაგონებული ახალგაზრდები იდგნენ ახალი, თავისუფალი საქართველოს დაბადების სათავეებთან, საფუძველს უყრიდნენ სოციალისტურ ეკონომიკასა და კულტურას, იყვნენ კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პიონერთა ავანგარდში, ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი, საქართველოს კომკავშირის აღზრდილნი, თავგანწირვით ებრძოდნენ ფაშიზმს, მთელ ხალხთან ერთად გადაჭყვდათ რესპუბლიკის ეკონომიკა მშვიდობიან რელსებზე, იყვნენ რუსთაველის, ენგურის, მადნეულის ახალმშენებლობების ენთუზიასტთა შორის, პირველმკვლევავთა, კომუნისტური მშენებლობის მეწინავეთა, ყამარის გმირთა და დამკვრელური კომკავშირული მშენებლობების გმირთა შორის.

დღეს რესპუბლიკის კომკავშირელთა თითქმის რვაასათასიანი რაზმი განაგრძობს და ამრავლებს უფროსი თაობების ტრადიციებს, შეაქვს საგრძნობი წვლილი მთელი საქართველოს მშრომელთა მიღწევებში. და უფროს თაობათა სახელით მინდა ყოველ მათგანს უღრმესი მადლობა ვუძღვნა გმირული გარჯისათვის, წრფელი და სპეტაკი შემართებისათვის, მისწრაფებისათვის—თავიანთი ცხოვრების ყოველ საათს სიტყვით და საქმით ემსახურებოდნენ პარტიას, ხალხს, სამშობლოს!

საქართველოს კომკავშირი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდაში, სკკპ XXV ყრილობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, რესპუბლიკის და მისი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მამდინარე და გრძელვადიანი, პერსპექტიული გეგმების შესრულებაში, ეკონომიკისა და კულტურის მართვაში.

საქართველოს კომკავშირელთა ახლანდელი თაობის ანგარიშზეა ბევრი სასიქადულო საქმე. ამის ნათელი დადასტურებაა მთავრობის საპატიო ჯილდოები, რომლებიც მკერდს უმშვენებს დღევანდელი ზეიმობის ბევრ ახალგაზრდა მონაწილეს. ამას მკაფიოდ მოწმობს ახალგაზრდა მუშათა და კოლმეურნეთა რეკორდები, რომლებმაც ახალგაზრდობა წვლილი შემატეს რესპუბლიკის საერთო წარმატებებს. როგორც ცნობილია, რესპუბლიკა ზედიზედ შვიდი წელია იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. ამის დასტურია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშაც „ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის", რომელიც რესპუბლიკის კომკავშირს ზედიზედ მეოთხედ მიენიჭა.

თქვენ ახალგაზრდენი ხართ. მაგრამ დღეს აქ ჩვენც, უფროსი თაობის ხალხიც, თავს ახალგაზრდებად ვგრძნობთ. და ეს გასაგებიც არის, თითოეული ჩვენგანის სიჭაბუკე ხომ კომკავშირით დაიწყო. კომკავშირი კი სიმბოლოა მომავლისა. აი, რატომ გვახარებს იმის შეგნება, რომ თქვენ, ოთხმოციანი წლების კომკავშირელები, თვალისჩინივით უფრთხილდებით და ამრავლებთ თქვენი მამა-პაპის, უფროსი და-ძმის სახელოვან შრომითს, საბრძოლო, რეგოლუციურ, ინტერნაციონალისტურ ტრადიციებს.

ისეთი ახალგაზრდა ხუთწლედის გვარდიელები, როგორებიც არიან ვაჟა გოგიაშვილი და ალდა გუგუჩია, ცისანა თალაკვაძე და ელიზბარ დიმინი, აიდა გუბაზი და თამაზ ჩიხლაძე, ლიზა დრიაევა და არტურ არუთინიანი, ანზორ ბურჯანაძე და მერი ღოღობერიძე, ნოვრუზ მამედოვი და ამირან სირაძე, ასობით და ათასობით ახალგაზრდა ხუთწლედის გმირი ერთმანეთის მხარდამხარ ჭედენ მომავალს, ღირსეულად მოაქვთ შრომის, ბრძოლისა და აღმშენებლობის ინტერნაციონალური ესტაფეტა, უფროსმა თაობებმა რომ გადმოსცეს, ესტაფეტა აღმშენებლობისა ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

რესპუბლიკის კომკავშირელებთან და ახალგაზრდებთან ჩვენს წინა შეხვედრებზე არაერთგზის აღინიშნა ხაზგასმით, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მთავარი საზრუნავი არის და იქნება ეკონომიკა. სახალხო მეურნეობაში ახალგაზრდობა წარმატებით, შედეგიანად, გულიანად მუშაობს! ახალგაზრდობის ყველაზე აქტიური მონაწილეობით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის დავალება. ახლა ჩვენ მტკიცედ ვლაშქრავთ მეათე შრომითი ხუთწლეულის მიჯნებს. და ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ მიჯნებს მივაღწევთ. ამ ამოცანის გადაწყვეტა ჩვენი რესპუბლიკის, მისი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ღირსებისა და პრესტიჟის საქმეა.

რესპუბლიკის, მისი პარტიული ორგანიზაციის, კომკავშირის წინაშე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რთული, სერიოზული ამოცანები დგას. ამ ამოცანებს უნდა დავუთმოთ ძირითადი ყურადღება!

მიმდინარე სამეურნეო წელს ჩვენ არათუ მთლიანად უნდა შევასრულოთ სახელმწიფო გეგმები და ვალდებულებები, არამედ მარაგნამატიც უნდა შეექმნათ მეთერთმეტე ხუთწლეულში ახალი მიჯნების მისაღწევად.

მეთერთმეტე ხუთწლედი კი — ეს არის რესპუბლიკის ეკონომიკის მძაფრი აღმავლობა, მრეწველობის, მშენებლობის ინტენსიური განვითარება, თვისებრივი ძვრები სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მეცხოველეობაში, ტრანსპორტზე. მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენ უნდა ავაშენოთ უდიდესი სამრეწველო ობიექტები, ავამოქმედოთ ახალი სასოფლო-სამეურნეო სიმძლავრენი, განვახორციელოთ მთელი რიგი კარდინალური ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების ეკონომიკა განვითარდეს არსებული შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო სრული გამოყენების საფუძველზე.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში კომკავშირს ეკისრება უაღრესად სერიოზული როლი — აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის გეგმების წარმატებით რეალიზაციის საქმეში. მაგრამ საამისოდ ამავითვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი.

საჭიროა დამკვრელურად დავამთავროთ მეათე ხუთწლედი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, რესპუბლიკის კომპარტიის XXVI ყრილობას და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს შევხვდეთ შთამბეჭდავი შრომითი წარმატებებით!

ამ გლობალური ამოცანის გადაწყვეტაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის ყველა რაზმმა, თავისი გარჯა უნდა მოახმარონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობამ, ახალგაზრდა ინტელიგენციამ, სტუდენტობამ, მოსწავლეებმა, პიონერებმა.

თუ მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული თითოეული კომკავშირელი, ყოველი ქალიშვილი და ჭაბუკი ენთუზიაზმით, შემოქმედებითად, შეგნებულად, კომუნისტური პასუხისმგებლობით მიუდგება დასახული ამოცანების შესრულებას, ამით პარტიას, რესპუბლიკას, ქვეყანას მისი მაღალი წოდების შესაფერის მხარდაჭერას გაუწევს, გაზრდის რესპუბლიკის წვლილს საერთო-საკავშირო დოვლათში. ეს ამოცანები ჩვენს კომკავშირელებს, ჩვენს ახალგაზრდობას ხელეწიფება. ამის საწინდარია მათი შრომა და სწავლა მეათე ხუთწლედში.

ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ღირსებები — სულ უფრო მზარდი სოციალური აქტიურობა, რევოლუციური ენთუზიაზმი, უშრეტი ოპტიმიზმი, შემოქმედება, შემართება, ღრმა დემოკრატიზმი განსაკუთრებით უნდა შევადულაბოთ მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით თითოეულ კოლექტივში, ყოველ სამუშაო ადგილზე.

განვამტკიცოთ დისციპლინა და განვავითაროთ ჩვენი ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლები — ახეთია ახალგაზრდობის ამოცანა! ეს მუშაობა ისე უნდა წარმართოთ, რომ დისციპლინის განმტკიცება უზრუნველყოფდეს დემოკრატიის განვითარებას, ხოლო დემოკრატიის განვითარება — დისციპლინის განმტკიცებას.

საქართველოს კომკავშირს ბევრი რამ აქვს საამაყო. იგი ერთ-ერთი ინიციატორია ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო მოძრაობისა — „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!" იგი მგზნებარე ქომაგია იმისა, რომ ახალგაზრდულ კოლექტივებში ფართოდ გავრცელდეს რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!" იგი მხარში უდგას საქართველოს მთელ პარტიულ ორგანიზაციას.

ახალი საზოგადოების მშენებლობის წინა ხაზზეა ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედი და მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენცია. მათი მნიშვნელოვანი საქმენი მჭეგრმეტყველურია და მნიშვნელოვანწილად ამ კატეგორიების ახალგაზრდობასთან რესპუბლიკის კომკავშირის მრავალმხრივი, მიზანმიმართული მუშაობის შედეგია. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წლითიწლობით ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენციის შემოქმედებითი უკუგება სულ უფრო გაიზრდება.

ახალგაზრდა მეცნიერებსა და ტექნიკოსებს, ინჟინრებსა და პოეტებს, ექიმებსა და აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, პედაგოგებსა და მხატვრებს, კომპოზიტორებს და მსახიობებს, ყველა პროფესიის ახალგაზრდებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეპოქის მატერიალურ ფასეულობათა და სულიერ ღირებულებათა შექმნაში, რესპუბლიკის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებაში, მოზარდი თაობის სწორი სოციალური ორიენტაციის საქმეში.

ჩვენ დიდად ვაფასებთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქის ახალგაზრდობის წვლილს კომუნისტური მშენებლობის ყველა სფეროში.

თითქმის სამოცი წლის წინათ გაისმა კომკავშირის III ყრილობაზე დიდი ლენინის უკვდავი მოწოდება — „ვისწავლოთ კომუნიზმი!" და ეს მოწოდება განსაკუთრებით ესატყვისება დღევანდელობას. დღეს იგი, პარტიის მიერ თანამედროვე პირობებს მისადაგებული და განვითარებული, კვლავინდებურად, ლენინური კომკავშირის მთელი საქმიანობის ბირთვია.

„ვისწავლოთ კომუნიზმი!" ეს ნიშნავს ღრმად და შემოქმედებითად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, ნიშნავს შევიარაღდეთ პარტიის პრაქტიკული გამოცდილებით კომუნისტურ მშენებლობაში. ნიშნავს ვემზადოთ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ნიშნავს ვიღვწოდეთ საზოგადოების საკეთილდღეოდ, საბჭოთის საკეთილდღეოდ, მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

„თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად, — თქვა ვ. ი. ლენინმა, როცა სრულიად საკავშირო ალკკ III ყრილობის დელეგატებს მიმართა. — ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დარაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები. საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას".

ეს ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრების უმთავრესი მიზანია.

(დასასრული მე-2 გვ.)

ჩვენო სახელოვანო მეჩაიეებო!

დღეს მთელი ჩვენი რესპუბლიკა სიამაყისა და ღიმილიანობის გრძნობით არის აღვსილი თქვენი სახელოვანი გამარჯვებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მკვლავმადლიანი არმიიდან თქვენ, მეციტრუსეების შემდეგ პირველებმა უპატაკეთ სამშობლოს მეათე ხუთწლედის დავალების შესრულება, მოკრიფეთ და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარეთ 1.673.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. თქვენი გმირული შრომითი თავდადება და სახელოვანი გამარჯვება შესანიშნავი მაგალითია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებისათვის, რომლებიც, იმედია, ასევე პირნათლად გაანაღდებენ მეათე ხუთწლედის დავალებას, რათა მთელი რესპუბლიკა ღირსეული ნობათით წარსდგეს სკკპ XXVI ყრილობაზე.

ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ მეჩაიეთა ეს ახალი გამარჯვება იოლად არ მოსულა. დიდი შემოქმედებითი ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რათა დაერაზმათ მეჩაიეობის რაიონების მშრომელები ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად.

ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა მაღალი პატრიოტული შემართებით, შრომითი აქტივობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებით შეძლეს მიეღწიათ პლანტაციების მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლებისა და ჩაის ფოთლის წარმოების საგრძნობლად გადიდებისათვის. თუ 1972 წელს რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 4980 კილოგრამი იყო და სულ მოიკრიფა 276,5 ათასი ტონა ფოთოლი, გასულ, 1979 წელს ჩაის ფოთლის ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 8100 კილოგრამს მიაღწია, მრეწველობას კი გადასამუშავებლად ჩაბარდა 454,3 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 177,8 ათასი ტონით აღემატება 1972 წლის დონეს. ამ რაოდენობით ფოთლის კრეფის ზრდას 1972 წლამდე 20 წელზე მეტი დასჭირდა.

რესპუბლიკის მეჩაიეთა ამ გამარჯვებაში მეჩაიეობის ყველა რაიონის, მეურნეობის, მეჩაიის ღირსეული წვლილია. კარგად იშრომეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ლაზჩხუთის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ცხაკაიისა და ხობის რაიონების და ქალაქების ტყიბულისა და წყალტუბოს ზონის მეჩაიეებმა.

დიდი ჩაისათვის ბრძოლის საქმეში ყველა თაობამ შეიტანა ღირსეული წვლილი. ჩვენს სახელოვან ვეტერან მეჩაიეებს თამარ ყუფუნიას, ტატიანა ჩხაიძეს, დარეჯან ტაკიძეს, ალექსანდრა ვოუბას, გუგული ჭანიძეს მხარში ამოუდგა ახალგაზრდა მეჩაიეთა პლეადა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მათს სასახელო ტრადიციებს.

ქართველ მეჩაიეებს ყოველთვის მხარში ედგნენ ჩაის მრეწველობის მუშაკებიც, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ დროულად გადაემუშავებინათ მოკრეფილი ჩაის ფოთოლი. საქართველომ რომ მეშვიდედ მიიღო სრულიად საკავშირო შეჯიბრების გარდამავალი წითელი დროშა, ამაში მეჩაიეებთან ერთად მრეწველობის მუშაკების დიდი წვლილია.

სასიხარულოა ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის პლანტაციებში წლითიწლობით მაღლდება შრომის ნაყოფიერება, რაზეც თავისი სიტყვა თქვეს საქართველოს მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა, მათ მიერ შექმნილმა ჩაის საკრეფმა მობილურმა მანქანებმა და მცირე მექანიზაციამ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქეს მძიმე შრომა ჩვენს მეჩაიეებს, გაზარდეს მათი გარჯის ეფექტიანობა. საქართველოს ხელოვნიანმა მეჩაიე მექანიზატორებმა ინგირელმა ვ. მეუნარგიამ და ონარიელმა ჯ. ჩაბალუხამ, ლიხაურელმა ზ. ურუშაძემ, ოჩხამურელმა ქ. სეფისკვერაძემ, წალენჯიხელმა გ. სახოკიამ, აჩიგვარელმა ე. ქობალიამ და სხვებმა შარშან მანქანებით 85-დან 155 ტონამდე ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. მცირე მექანიზაციის გამოყენებით 45-55 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს მახარაძელმა ა. ტოროტაძემ, ხობელმა გ. ჯანჯღავამ, სამტრედიელმა ვ. დარსაველიძემ, წალენჯიხელმა რ. ოკუჯავამ და სხვებმა.

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენო სახელოვანო მეჩაიეებო!

დიდად საამაყოა თქვენს მიერ მოპოვებული გამარჯვება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი დიდ მადლობას გიცხადებთ თავდადებული შრომისათვის, ხუთწლედის დავალების ვადამდე განაღდებისათვის.

მტკიცედ გვწამს, რომ საქართველოს სახელოვანი მეჩაიეები არ დასჯერდებიან მიღწეულს, პირნათლად შეასრულებენ წლევანდელ მაღალ ვალდებულებას და წარმატებით დაადგირგვინებენ მეათე ხუთწლედს — გეგმის დამატებით სამშობლოს მისცემენ სულ ცოტა 440 ათას ტონა ჩაის ფოთოლს.

წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით ძნელი გამოდგა ჩვენი მეჩაიეებისათვის: გაზაფხულის ცივმა ამინდებმა თითქმის ერთი თვით დაგვიანა ჩაის კრეფის სეზონის დაწყება. სიცივე, გადაუღებელი წვიმები ახლაც სერიოზულად უშლის ხელს ჩაის ფოთლის კრეფას. ბუნება ჭირვეულობს, მაგრამ ჩვენი მეჩაიეების ნებისყოფა უფრო მტკიცეა, მათი ორგანიზებულობა, პატრიოტული შემართება ბუნების სტიქიაზე გამარჯვების გარანტიას იძლევა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის კოლმეურნეობის მშრომელთა თაოსნობა ჩაი კრიფონ ყოველგვარ ამინდში, რათა უამინდობით გამოწვეული გარღვევა დაფარონ 15 ივნისამდე. უშაფათელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურა რესპუბლიკის ყველა მეჩაიე და მრეწველობის მუშაკი.

ახლა საბრძოლო ამოცანაა მაქსიმალური მობილიზაცია გავუკეთოთ მუშახელს, ქუდზე კაცი გამოვიდეს ჩაის საკრეფად, ვკრიფოთ ჩაი ყოველგვარ ამინდში, არ დავუშვათ არავითარი შეფერხება ნედლეულის ტრანსპორტირებისას, გადამუშავებისას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ღრმა რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის მეჩაიეები და მრეწველობის მუშაკები დაძლევენ უამინდობით გამოწვეულ შეფერხებებს, წარმატებით შეასრულებენ 1980 წლის გეგმავალდებულებებს და ამით საფუძველს ჩაუყრიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ" გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებას, რითაც ყველა პირობას შექმნიან სამამულო წარმოების ჩაით ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, ჩვენო სახელოვანო მეჩაიეებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1980 წლის 24 ივნისს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 მაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოუზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში აქტიური მუშაობისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი

1980 წლის 21 მაისი.

პროგრამა წარმატებით სრულდება

ფრენინ მართვის ცენტრი. 22 მაისი. (საკდენი). დღეს ფრენა დაამთავრა „პროგრეს-9" ავტომატურმა სატვირთო სატრანსპორტო ხომალდმა, რომელიც დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაიყვანეს 1980 წლის 27 აპრილს.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ მუშაობას „სალუტ-6"-„სოიუზ-35" ორბიტულ კომპლექსში. დღის პროგრამაშია სადგურის სარემონტო-პროფილაქტიკური ღონისძიებანი, საცხოვრებელ ნაკვეთურებში ბგერითი წნევის დონეთა გაზომვის ექსპერიმენტი, ფიზიკური ვარჯიში. საღამოს დაგეგმილია მოეწყოს კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია „სოიუზ-35" ხომალდის ძრავის დანადგარის გამოყენებით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ორბიტიდან მიღებული მოხსენებების თანახმად, „სალუტ-6"-„სოიუზ-35" სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

კოსმონავტები ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვისწავლოთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ ლენინურად, კომუნისტურად!

(დასასრული)

რესი ამოცანა, უმთავრესი საკითხია.

XX საუკუნის 80-იანი წლების ახალგაზრდობას, რომელ ს ა ც მოუწევს ცხოვრება, შრომა, შემართება და შენება XXI საუკუნეშიც, მოუწევს იყოს მეორე ათასწლეულის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კაცობრიობის ცხოვრების ახალ, მესამე ათასწლეულში — უნდა ჰქონდეს უმრეტი ინტელექტუალური პოტენციალი, მაღალი კომუნისტური კულტურა, ისტორიაში უმაგალითო შრომისმოყვარეობა, იდეური წრთობა და კრისტალური ზნეობრივი სისპეტაკე, ახალი რევოლუციური კომუნისტური ცივილიზაციის ადამიანის ყველა თვისება.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი კომკავშირი შეასრულონ მათთვის დაკისრებული ისტორიული მისია, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მისია.

ამ დიდი საქმეებისათვის ყოველი ქალიშვილი და ჭაბუკი სკოლის მერხიდანვე უნდა ემზადოს. ეს მათ ხელეწიფებათ!

ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ სტუდენტი ახალგაზრდობა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები.

მათი მთავარი შრომა სწავლაა. მათი მთავარი ღირსება ცოდნის დაუფლებაში სიმტკიცე, მაძიებლობა და ენთუზიაზმია. და როცა ახლანდელი სტუდენტები და მოსწავლეები სახალხო მეურნეობის მუშაკთა რიგებს შეემატებიან, მათი ეს ღირსებები საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. აი რატომ მიგვაჩნია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მომავალ სპეციალისტთა პროფესიულ ჩამოყალიბებაში მომხდარი პოზიტიური ძვრები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაა სწორედ მათი უმნიშვნელოვანესი შრომითი საქმე, მათი უმნიშვნელოვანესი მიღწევა. მაგრამ ჩვენი სტუდენტები და მოსწავლეები მარტოოდენ სკოლის მერხებთან და სასწავლო აუდიტორიების მაგიდებთან როდი ვაუკაცდებიან. ისინი ვაუკაცდებიან და ნამდვილი მამულიშვილები დგებიან მშენებლობებზე და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მაგრამ, ვიმეორებ, იმათი მთავარი ამოცანა, ვინც დღეს მეცნიერების სირთულეს სწვდება უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებსა და სკოლების კლასებში ის არის, რომ ხვალ ჩაიბარონ წარმოების მუშაკთა, სპეციალისტთა, მეცნიერთა უფროსნი თაობის ესტაფეტა. და მაშასადამე, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, მათი მთავარი ამოცანაა „სწავლა, სწავლა და სწავლა“. მათი ამოცანაა ეუფლებოდნენ მეცნიერებას, სწვდებოდნენ მაღალი სოციალისტური მოქალაქეობრიობის სიბრძნეს, იძენდნენ აქტიური პოლიტიკური მებრძოლის თვისებებს.

დღეს დარბაზში ჩვენთან ერთად არიან არმიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს ლენინური კომკავშირისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მამაც მეომართა ურღვევ თანამგზრობას, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება.

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს — ჩვენი სამშობლოს ზედ სამხრეთის საზღვრებთან მყოფმა რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ნიადაგ უნდა აამაღლონ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დონე, სრულყონ მისი პოლიტიკური, მორალური და ფიზიკური წრთობა, ამზადონ ჩვენი ჭაბუკები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში ღირსეული სამსახურისათვის, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის.

მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიოში რთული საერთაშორისო ვითარებაა. კომუნისტურ და ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობებს შორის შეუურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს. ამ ცოტა ხნის წინათ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ვარშავის

—დეტალურ

ნამდვილი კომუნისტები და სხვები

—დღეს იმ პრივილეგიასაც შეეცვალა ხასიათი, რომელსაც პარტიის წევრობა ანიჭებს ადამიანს: შეიძლება მოგანდონ ხალხის ბედი, მათი მართვა დაგაკისრონ. ოღონდ ეს იმგვარი უფლებაა, უკანდასაკენ გზას რომ უჭრის ადამიანს. ძმიმეა ეს ტვირთი იმდენად, რამდენადაც უპირველესად მოვალეობას გულისხმობს. მოვალეობას, ცალკერძ, სამშობლოს, პარტიის წინაშე, ვინც ნდობა დაგვაკისრა, ცალკერძ, ხალხს წინაშე, ვინც წინამძღოლისგან სამაგალითობას მოითხოვს.

• ვინ იცის ყოველივე ეს უკეთ, თუ არა თავად რაიკომის პირველმა მდივანმა არტემ აზიროვმა, ალმა, რომელმაც თვითონ იწვნია ომის მთელი სიმძიმენელობა, თავად იყო „ბიცრემ ი ო წ ე ლ ი, იბრძოდა სახელგანთქმულ მე-18 არმიაში; ალმა, რომლის პარტიულობის სტაჟი 1943 წლიდან ითვლება, რომელიც იმათ შორის იყო, ვისაც „ენინელ-ბოლშევიკ“ ეწოდებოდა. ალმა, ომის ბოლოს, ბერლინ-ბერლინ-ბერლინ-

საერთაშორისო ცხოვრება
დილის ჟურნალი

თანამედროვეებისა და შთამომავლებისათვის

თანამედროვეობის გამოჩენილი მწერლის მიხეილ შოლოხოვის დაბადების 75 წლის იუბილეს წინ საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თამაზ დოლიძეს, სოციალისტური შრომის გმირს, მწერალ-აკადემიკოსს გ. აბაშიძეს მოეთხრო საქართველოში შოლოხოვის პოპულარობის, ჩვენში მისი ნაწარმოებების გამოცემის შესახებ.

მიხეილ შოლოხოვი მარტო საბჭოთა ლიტერატორებისათვის როდია დიდი ავტორიტეტი — იგი სამართლიანად აღიარეს მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ მწერლად. მან შექმნა ჩვენი ქვეყნის ისტორიის გმირული პერიოდის მონუმენტური ეპოპეა, სადაც დონის კაზაკთა ცხოვრებისა და ბრძოლის ფონზეა ნაჩვენები რევოლუციურ გარდაქმნათა სიდიადე. ეს ეპოპეა თავისი მასშტაბით ტოლს არ უდებს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს.

შოლოხოვი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მწერალია საქართველოში. სიტყვის დიდოსტატს უკვე მრავალი წელია მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან. იგი პირადად გაეცნო ქართველ მეჩიჩიეთა თავდადებულ შრომას, არაერთი აღფრთოვანებული სიტყვა უძღვნა მათ. ქართველმა კოლმეურნეებმა სიყვარულის ნიშნად მწერალი აირჩიეს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საპატიო წევრად. შოლოხოვს ახარებს რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებანი ცხოვრების ყველა დარგში. დიდებული ლიტერატურა და დიდი ადამიანობა განუყოფელია. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ქართულ მიწაზე მიხეილ შოლოხოვთან შეხვედრისას, როცა გურიაში ერთად დავრგეთ ციტრუსის ნერგები.

ქართველი მკითხველი ამაყობს მხატვრული სიტყვის დიდოსტატთან მეგობრობით.

შოლოხოვის წიგნები ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ცნობილია, რომ 1932 წელს ჟურნალ „ნოვი მირში“ გამოქვეყნებული შესანიშნავი რომანის „გატეხილი ყამირის“ პირველი ნაწილი იმდენად აქტუალური, საჭირო აღმოჩნდა მკითხველისათვის, რომ 1934 წელს მისი ქართული თარგმანი გამოიცა თბილისში.

ათჯერ გამოიცა ჩვენში „წყნარი დონი“, სამჯერ — „ბედი კაცისა“ და სხვა ნაწარმოებები. ქართულ ენაზე შოლოხოვის თხზულებათა საერთო ტირაჟმა 180 ათასს მიაღწია.

შოლოხოვის იუბილეს საქართველოში აღნიშნავენ, როგორც საბჭოთა ლიტერატურის დიდ დღესასწაულს — ბიბლიოთეკებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ეწყობა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები, იმართება ლიტერატურული საღამოები.



დიდი მწერლები უფრო მეტად მხოლოდ სახელით იხსენიებიან, მაგრამ ზოგჯერ ეს სახელი მათივე გვარია. რუსთაველი, დანტე, შექსპირი, გოეთე, პუშკინი, ლერმონტოვი, ბაირონი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი — აქ მათი გვარიც აროს და სახელიც. საკმარისია ვახსენოთ გორკი, მაიაკოვსკი, შოლოხოვი!

ეს სამი უაღრესად პოპულარული სახელი ეტალონად იქცა საბჭოთა ლიტერატურისა, თუმცა, ვინ იტყვის, რომ დიდი მწერლები არ იყვნენ სერგეი ესენინი და ალექსეი ტოლსტოი, კონსტანტინე ფედინი და ალექსანდრე ფადეევი, ნიკოლოზ ტიხონოვი და კონსტანტინე სიმონოვი, ანა ახმატოვა და ბორის პასტერნაკი.

შოლოხოვი მეტეორის მსგავსად მოვარდა რუსულ ლიტერატურაში, თუმცა „წყნარი დონის“ პირველ წიგნამდე გამოქვეყნებული ქქონდა საკმაოდ ძლიერი მოთხრობები. მაგრამ გამოქვეყნდა თუ არა ტიტრალოგია „წყნარი დონის“ პირველი წიგნი, მისი სულ ახალგაზრდა ავტორი მარტო საშობლოში რიდი აღიარეს დიდ მწერლად. დასავლეთ ევროპის ლიტერატურულმა კრიტიკამ 30-იან წლებში შოლოხოვს „თანამედროვე ჰომეროსი“ უწოდა, ხოლო თვით წიგნი ახალი დროის „ილიადად“ გამოაცხადა. „ანა კარენინას“ გენიოსი შემომქმედისა და გორკის შემდეგ ასეთი საერთაშორისო აღიარება არც ერთ თანამედროვე მწერალს არ ჰქონია, შოლოხოვმა თითქოს ერთბაშად, პირდაპირ კაზაკური იერიშით აიღო ლიტერატურის ოლიმპიური მწვერვალები.

მაგრამ ამ დეგენდარული იერიშისათვის იგი რამდენიმე წელი ემზადებოდა, წერდა ნიჭიერად ამეტყველებულ დონის მოთხრობებს, პირველი მთგანი — „გამოცდა“ სულ ჯაბუკმა — 18 წლის ყმაწვილმა გამოაქვეყნა 1923 წელს, შემდეგ კი მთელი სერია — „სამი“, „რევიზორი“, „ხალი“... სულ 28 ნოველა და მინიატიურა. ამ ძალიან მძაფრ მოთხრობებში მომავალი შოლოხოვის უზადო მხატვრული ტალანტი ჩანს.

და ყველგან, ყველა მოთხრობაში, საოცრად დაძაბული სიუჟეტები, ჟრუანტელს რომ მოგგვრით, პერიპეტიული სიუჟეტები, როგორიც აქვთ მერიმესა და სტენდალს, მაგრამ შეუდარებლად ცხოვრებისეული, სინამდვილის უშუალოდ შუაგულიდან აღებული. ჩანს ეპოსის ყველა ნიშანი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის თვით ის ეპოსი, რომელიც უჩვეულო ძალით, მთელი თავისი პოზიტიურობით „წყნარ დონში“ განსახიერდა.

ეს იყო შოლოხოვის ეპოსი — მართლაც „ახალი დროის „ილიადა“ — ცხოვრების დიდი მხატვრის ტეტრალოგია. რა არ იზიდავდა მკითხველს ტოლსტოისებური ძალის ამ უცხო შედევრში: ბუნებრივი ხალხური ტალანტი, ოსტატურად დაწერილი დიალოგები, ცხოვრების ენციკლოპედიური ცოდნა, მოქმედ პირთა სულის სიღრმემდე ჩაწვდომა, საოცარი დეტალები, პეიზაჟები, პანორამები, ლირიკული პასაჟები, არაჩვეულებრივი სიმართლე, გამბედაობა, ყველაფრის ისე წარმოდგენა, როგორც ცხოვრებაშია და როგორც ნამდვილად უნდა იყოს ჭეშმარიტად დიდ ხელოვნებაში. ისეთი მომნუსხველი ძალა ჰქონდა „წყნარ დონს“, რომ სულ ახალგაზრდა ავტორი „ცოცხალ კლასიკოსად“ იქცა. ბევრს დაუჯერებელიც ეჩვენა ჭაბუკი რომანისტის მიერ ასეთი ფართო, თითქმის თვალუწვდენი მასშტაბების წვდენა.

თავის დიდ შემოქმედებაში შოლოხოვმა ოსტატურად ასახა ჩვენი ცხოვრების ისტორიული მიჯნები: რევოლუციამდელი პერიოდი, რევოლუცია, ინტერვენცია, სამოქალაქო ომი, ძველი სოფლის სოციალისტური გარდაქმნა და სამამულო ომი, მისი შედეგები. პირველს მოიცავს „წყნარი დონი“ (იწყება 1914 წლამდე და თავრდება 1921 წლით), აგრეთვე დონის მოთხრობები, „მეორეს — „გატეხილი ყამირის“ ორი წიგნი, მესამეს — „სიძულვილის მეცნიერება“, „ბედი კაცისა“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. ასე რომ, შოლოხოვის შემოქმედებაში ასახულია თანამედროვე კაცობრიობის განვითარების სამოცდაათწლიანი პერიოდი.

არავის, არც ერთ მწერალს ისე კოლორიტულად, განუმეორებელი ასტახოვის მეუღლე აქსინია შეიყვარა. თუ პირველმა დაბნეულობამ სოციალურსა და პოლიტიკურ სფერში მელეხოვი კატასტროფამდე მიიყვანა როგორც მოქალაქე, მეორემ ოჯახურადაც დაანგრია, მძიმე ტრაგიკული აღსასრული მოუმზადა ნატალიას, თვით აქსინიას, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რამდენი კარგი მელეხოვში, და რამდენი ცუდი შეეძინება მას არა მარტო პიროადი ხასიათით, არა მარტო უსწავლელობის, თვით უსასტიკესი ვითარებით, რომელშიც იგი თავდაუხსნელად მოექცა. ასე რთული, წინააღმდეგობებით სავსე, სიყვარულით გათანგული და ფათერაკებით ილაჯგაცლილი მებრძოლი კაცი არათუ ძნელად, საერთოდ არ გვინახავს მეოცე საუკუნის ლიტერატურაში. გრიგორი მელეხოვი იმდენად რთული პიროვნებაა, რომ შეიძლება მის შესახებ ვრცელი ფსიქოლოგიური გამოკვლევები დაიწეროს.

მელეხოვის მეუღლე ნატალიაც ერთი უმშვენიერესი სახეა „წყნარ დონში“ — ლამაზი და კეთილი, ქმრის უერთგულესი და შრომისმოყვარე, ტრაგიკული პიროვნება, რომელმაც მთელი ცხოვრება მორალურ სისპეტაკესა და ტანჯვაში გაატარა.

აქსინია ვნებიანი, სიყვარულში თავდადებული ქალი, თუმცა რა — საკუთარი მამის მსხვერპლი შეიქმნა, გრიგორის შემდეგ კი მონარქისტ ლისტნიცკისთან ჯერ ძალით, ხოლო მერე ნებით დაიწყო ცხოვრება, როცა მელეხოვი ფრონტზე იყო. მისი ტანჯვა, უშიშროება, არაადამიანური დამცირება მეუღლისაგან, თუმცა ბევრ რამეში თვითონ არის დანაშაული, ჩვენ უნებლიეთ გვხდის აქსინიას ბედის თანაგრძნობად, ვინაიდან რომ არ ყოფილიყო მელეხოვის კაზაკური შეუპოვრობა სიყვარულში, იგი ალბათ სტეფანე ასტახოვის ღირსეული მეუღლე იქნებოდა. სამივე ტრაგიკული პიროვნება — გრიგოლი, აქსინია, ნატალია შოლოხოვმა ურთულეს სახეებად წარმოგვიდგინა.

მაგრამ „წყნარი დონი“ მკითხველს აჯადოებს არა მარტო მოქმედი პირების ასე ცოცხალი, დამაჯერებელი, ღრმა და ადამიანური ხასიათების ოსტატური წარმოსახვით, არა მარტო უაღრესად მძაფრი სიუჟეტით, ბატალური სცენების საოცრად რეალისტური ჩვენებით, არამედ მთელი ეპოქის უზადო ცოდნითაც. შოლოხოვი ყველგან ზუსტი და უტყუარია, სულ ერთია, აღწერს ადამრანებს, ბუნების სურათებს, დაპირისპირებულ ძალთა სოციალურ თუ პოლიტიკურ ჭიდილს, ქალაქებისა და სოფლების მძიმე მდგომარეობას იმ წლებში, რომლებსაც რომანი ეხება, სამხედრო თათბირებს, შტაბებს, უკანდახევას, რევოლუციურ ძალებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც „წყნარი დონის“ ოთხი წიგნი მოიცავს. საოცარი ისიც არის, თუ როგორ შეიძლო ავტორმა ყველაფერი, რაც მის შედევრშია, ასე ორგანულად შეეკრა, არსად არაფერი შეშლოდა, მკითხველი კი მაგნიტივით მიეზიდა. და ყველგან ყველაფრის მოქმედებაში ჩვენება, აღწერების დაძაბულობა, გამწყაზრული მხატვრული ენა, მომაჯადოებელი სტილი — საქვეყნოდ განთქმული შოლოხოვის სტილი!

ეპოპეა „წყნარი დონი“ მართლაც ილიადისებური ძალის ნაწარმოებია და მისი სრული ანალიზისათვის ერთი კრიტიკული ტომიც არ არის საკმარისი.

შოლოხოვის ორტომიანი, მეორე ვრცელი რომანი „გატეხილი ყამირი“ მხატვრული ძალის მხრივ „წყნარი დონის“ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან აქაც ავტორის ოსტატობა ჭეშმარიტ ხელოვნების მაღალი მწვერვალდან დაგვაქერის. ეს მართლაც იყო სრულიად უცნობი ქვეყნის აღმოჩენა, ლიტერატურული ყამირის გადახვნაც, სულ ახალი ამბების, ახალი ადამიანების, მანამდე უხილავი ფაქტების, გაუგონარი საქმეების მოსმენა, ჩვენება, წარმოდგენა. „გატეხილი ყამირი“ გადაიქცა სოფლად რევოლუციური გარდაქმნების უტყუარ სარკედ, მან დიდი სამსახური გაუწია არა მარტო ჩვენს სამშობლოს, არამედ ყველა სოციალისტურ ქვეყანასაც. სასიხარულო იყო, რომ „გატეხილ ყამირში“ შოლოხოვი, როგორც შემოქმედი, „წყნარი დონის“ შოლოხოვად დარჩა.

შეიძლებოდა იმ ნაწარმოებისათვის, რომლის სათაურია „ბედი კაცისა“, ‚ბვეწოდებინა „ქვეყანა ერთი ადამიანის პრიზმით“. დღეს არ არის ოდნავ კულტურული მკითხველი, რომელსაც გულთან არ მიეტანოს „ბედი კაცისას“ მთავარი გმირის — ანდრია სოკოლოვის უმძიმესი ტრაგედია, რაც შოლოხოვმა ასე დიდი ოსტატობით გვიჩვენა. და რამდენია ნათქვამი იმითაც, რომ კაცი, რომელსაც ომმა მთელი ოჯახი მოუსპო, კაცი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის მთელი საშინელებანი გადახდა, ომისაგან მისივე მსგავსად გაუბედურებულ, უდედმამოდ დარჩენილ ბიჭუნას — ვანიუშკას კეთილშობილ ტყუილს ეუბნება — შენი ნამდვილი მამა ვარო, ზრდის და თავს ევლება.

რომანი — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ წარმოადგენს სამშუმის უსასრულო ეპოპეას. უმძიმესი ბატალური სცენები აღწერილია მართლაც შოლოხოვისებურად. მაგრამ მთავარია ადამიანების, ომის ქარცეცხლში ჩავარდნილი მეომრებისა და აწოიკებული მოსახლეობის მხატვრული ოსტატობით ჩვენება. გუშინდელი მშვიდობიანი ადამიანები — სტრელცოვი, ზვიაგინცევი, ლოპახინი იარაღით ხელში ებრძვიან ჰიტლერულ ურჩხულს. მთელი რომანი აშენებულია პირიპეტიებსა და რადიკალურ კონტრასტებზე, მაგრამ ისეთი ძალით, რომ პროზა მაღლდება პოეზიამდე, თითქოს პირდაპირ გადადის ფერწერაში.

სრულიად ორიგინალურია „სიძულვილის მეცნიერება“, რომელიც ჟანრობრივად პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების ორგანულ სინთეზს წარმოადგენს. ნაწარმოებში მხოლოდ სამი მოქმედი პირია: ომი, მწერალი და ლეიტენანტი ვიქტორ გრასიმოვი. ეს უკანასკნელი, მართალია, წააგავს ანდრია სოკოლოვს, მაგრამ ხელშესახებადაც განსხვავდება მისგან. ომის საშინელებანი, რომლებიც გერასიმოვმა არაერთგზის იხილა და გადაიტანა, მის უწყინარ არსებაში აღზრდის მებრძოლს, სრულიად უშიშარსა და შეუპოვარს, არავითარი საფუძველი აღარ რჩება, ტოლსტოიანური „ბოროტების წინაღუდგომლობისათვის“. და ის, რაც ასე ოსტატურად არის ნაჩვენები ომის შესახებ დაწერილ თხზულებებში, ბევრი რამ თვით შოლოხოვმა განიცადა და გადაიტანა. როცა გერმანელებმა დაბომბეს ვეშენსკაია, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ იყო, შოლოხოვის თვალწინ დაიღუპა დედამისი — სამოცდაათი წლის მოხუცი ქალი.

თავის პუბლიცისტურ წერილებშიც შოლოხოვი ის არის, რასაც მისი ეპოსი განასახიერებს. შოლოხოვი ერთიანი და მთლიანია როგორც მწერალი, როგორც მოაზროვნე. თეორიული ესეი „სულის სიდიადე“, რომელშიც მოცემულია ტოლსტოიზმისა და განდიზმის ღრმა ფილოსოფიური ანალიზი, შესანიშნავად გამაჩენს შოლოხოვის ნათელ, მეცნიერულ პოზიციას აზროვნებაში.

ასეთი რანგის მწერალს არ გაუჭირდებოდა მსოფლიო აღიარება მოეპოვებინა, მით უფრო, როცა 23 წლის შოლოხოვის „წყნარი დონი“ დიდმა გორკიმ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“ შეადარა. ალექსეი ტოლსტოიმაც მაღალი შეფასება მისცა ჭაბუკ შოლოხოვს. რომენ როლანმა შოლოხოვის ნაწარმოებები საუკეთესოთა შორის დაასახელა. შეფასებებში ძუნწი ჰემინგუეიც აღფრთოვანდა შოლოხოვი თ. ჩარლზ სნოუმ იგი „დიდ მწერლად“ გამოაცხადა, ხოლო ლარნიმ თქვა — „ვეებერთელა მწერალიაო“. ფედინი, ტიხონოვი, აკადემიკოსი სემიონოვი, ჩანდრა, ვარელა, ლინდსეი, მარსელი, ვიურმსერი, ჰელმანი, ზეგერსი... — ერთხმად აღიარებენ, რომ შოლოხოვი დიდი მწერალია, უკვდავია, სიცოცხლეშივე ძეგლი დაიდგა, „პლანეტა დაიპყრო“.

ლენინური, სახელმწიფო და ნობელის პრემიების ლაურეატი, უკვე ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი-აკადემიკოსი შოლოხოვი დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხელოვანია მსოფლიოში. მისი წიგნები თარგმნილია ცივილიზებულ ხალხთა ყველა ენაზე, ტირაჟი კი ათეულ მილიონებს შეადგენს.

ასე მიაბიჯებს შოლოხოვი მსოფლიო მერიდიანებზე!

ხუთივე კონტინენტის მრავალი ქვეყნის გარდა, შოლოხოვმა სამჯერ მოიარა ჩვენი რესპუბლიკა თავისი ქართველი მეგობრების თანხლებით. მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა წინანდლის სანახებმა და თბილისის შემოგარენმა, ვარძიამ და ჯვრის მონასტერმა, სტალინის პატარა სახლმა გორში და სვეტიცხოველმა, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა გაცნობამ ჯანშიას სახელობის მუზეუმში.

ვეშენსკაიაში, სადაც შოლოხოვი მუდმივად ცხოვრობს, ჩვენი სტუმრობის დროს, მასპინძლის გულთბილობით მოხიბლულმა გიორგი ლეონიძემ მითხრა: „ასე ალერსით, უშუალოდ, მთელი გულით მიღება მხოლოდ ჭეშმარიტ კაცს, სტუმართმოყვარეობაშიც გენიოსს შეუძლიაო“. ჩვენ მაშინ, სტალსკის გორკისეული შეფასების ანალოგიით შოლოხოვის „წყნარი დონი“ შევადარეთ „ილიადას“, გვეგონა ამ ღირსეული ეპითეტის პიონერები ვიყავით და ვამაყობდით, მაგრამ გვიან გავიგეთ, რომ ეს პირველად ევროპულ კრიტიკას უთქვამს დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1930 წელს, როცა ეს მართლაც გენიოსი კაცი მხოლოდ 25 წლისა იყო.

ახლა შოლოხოვი 75 წლისაა და მთელი პროგრესული კაცობრიობა მიესალმება დონის ტრამალებიდან გამოსულ ბრძენ კაცს, რომელმაც გორკისთან და მაიაკოვსკისთან ერთად საბჭოთა ლიტერატურა ოლიმპიური დიდების თვალუწვდენ მწვერვალზე აიყვანა.

გიორგი ჯიგლაძე.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 23 მაისი. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების შესახებ. იმპერიალიზმს, აღნიშნულია დოკუმენტში, უკვე აღარ შეუძლია იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ. მისი პოზიციები შესუსტდა, მისი ზრახვების განხორციელებას წინ ეღობება სერიოზული დაბრკოლებები.

ძალთა თანაფარდობის შეცვლა მშვიდობისა და პროგრესის სასარგებლოდ, ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, უკან ახევინებს იმპერიალიზმს და აღარ აძლევს საშუალებას თავისი სურვილისამებრ გადაწყვიტოს — ომიანობა აირჩიოს თუ მშვიდობიანობა. ამჟამად მსოფლიოში არიან ძალები, აცხადებს საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროო, რომლებსაც შესწევთ უნარი წარმატებით გაუწიონ წინააღმდეგობა იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებსა და ხრიკებს. ამ მხრივ სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები უპირველეს როლს ასრულებენ, რასაც ადასტურებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ახალი კონსტრუქციული წინადადებანი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ღონისძიება ხელს უწყობს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს კმაყოფილება გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის ვარშავის მოლაპარაკების გამო. ამ შეხვედრამ, ნათქვამია განცხადებაში, დისკუსიისა და დიალოგის საშუალება მისცა ორივე მხარეს.

დასასრულ საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს მოუწოდა ყველა კეთილ ნების ადამიანს, მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს გაერთიანდნენ მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

23 მაისი

● **ბუქარესტი.** რუმინელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს 1-დან 100-კილოვატამდე სიმძლავრის ტურბინების პროექტები, რომელთა მეშვეობით ქარის ენერგია ელექტროენერგიად იქცევა. ტურბინები განკუთვნილია ცალკეული საცხოვრებელი სახლებისა და პატარა დაბების, დაშორებული ფერმების, მეტეოროლოგიური სადგურების, ტურისტული ბაზების ენერგიით მომარაგებისათვის.

● **ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატებს ძვირად უჯდება გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსი, რომელსაც ადგას კარტერის ადმინისტრაცია. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო იუწყება, მომდინარე წლის პირველ კვარტალში ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 21,6 მილიარდი დოლარი წლიური გაანგარიშებით.

● **ლუსაკა.** ზამბია მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის ოლიმპიურ ასპარეზობაში. ეს განაცხადა აქ ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ამ პარტიის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. მუნდიამ.

საგანგებო კამათი

ლონდონი. ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში გაიმართა საგანგებო კამათი ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური „სანქციების“ საკითხზე. ლეიბორისტული ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ კამათის მოწყობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დღეებში ნეაპოლში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება გააუქმონ „ცხრეულის“ წევრთა სავაჭრო და ეკონომიკური კონტრაქტები და გარიგებანი ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, რომლებიც დაიდო გასული წლის 4 ნოემბრის — თეირანში ამერიკელი მძევლების დაკავების დღის შემდეგ.

სავსებით ცხადია, და ამას აღიარებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრესა, რომ გადაწყვეტილება ნეაპოლში მიიღეს ვაშინგტონის უძლიერესი შემოქმედების შედეგად.

ინგლისის პარლამენტში გამართული კამათი ნამდვილი პოლიტიკური სკანდალის ვითარებაში მიმდინარეობდა. არა მარტო ლეიბორისტი პარლამენტარები, არამედ კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელნიც უკიდურესს აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ კაბინეტი მზად არის გარედან კარნახით მიიღოს დიდმნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებანი. ამის შედეგად სწორედ კამათის დაწყების წინ კონსერვატორთა მთავრობამ შეცვალა ნეაპოლში მიცემული დაპირება გააერცელოს „სანქციები“ ყველა კონტრაქტზე, რომლებიც ირანთან დაიდო გასული წლის 4 ნოემბრის შემდეგ. მთავრობა იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ირანის წინააღმდეგ „სანქციების“ კანონს არ ექნება უკუმოქმედების ძალა, ე. ი. ყველა კონტრაქტი, რომლებიც ინგლისის ფირმებმა ირანთან დადეს ამ კანონის მიღებამდე, რასაც ამ კვირაში მოელიან, ძალაში დარჩება.

ეხება რა ინგლისის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას, პარიზის „მონდი“ აღნიშნავს, რომ იგი მიღებულია დეპუტატთა უმრავლესობის ზემოქმედებით. წინაღმდეგ შემთხვევაში მ. ტატჩერის კაბინეტი შესაძლოა თემთა პალატაში უმცირესობაში დარჩენილიყო.

ვაშინგტონი. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, ეხება რა დიდი ბრიტანეთის განზრახვას „შეარბილოს ირანის ეკონომიკური ბოიკოტი“, რომლის გაძლიერებასაც დიდი ხანია მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატები, ხაზს უსვამს, რომ ამერიკის დასავლეთევროპელი მოკავშირეებს ვალდებულებებს შემოიღონ ამ კვირაში შეზღუდული ეკონომიკური სანქციები „ექვის ქვეშ აყენებს“ დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება აკრძალოს მხოლოდ მომავალი კონტრაქტები ირანთან.

ერაყ-ირანის ომი

მეგაჭყლეტავი ბომბდამშენები ასპეტრეს ირანის ... ახალი ამბების საგანგებო კორესპონდენტები

კლენუმმა მოიწონა

ჟენევა, 23 მაისი. აქ გაიმართა ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მან განიხილა საერთაშორისო მდგომარეობის, აგრეთვე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების საკითხები, რომელთა თაობაზე მოხსენებები გააკეთეს ფინეთის კომპარტიის თავმჯდომარემ ა. საარინენმა და ფინეთის კომპარტიის ვიცე-თავმჯდომარემ ტ. სინინსალომ.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია მშვიდობისა და განიარაღებისათვის ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების პარიზის შეხვედრის შედეგების შესახებ და მთელი რიგი სხვა დოკუმენტები.

ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ფინეთის კომპარტიის დელეგაციის საქმიანობა პარიზის შეხვედრაზე და განაცხადა, რომ სავსებით უჭერს მხარს იმ მიზნებისა და ინიციატივების პრაქტიკულ განხორციელებას, რომლებსაც შეიცავს კომუნისტთა შეხვედრაზე მიღებული მოწოდება ევროპის ქვეყნების ხალხებისადმი.

გამოავლინეს დანაშავენი

რომი, 23 მაისი. იტალიის პოლიციამ აქ განახორციელა ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლის ოპერაცია, რომლის დროსაც დაპატიმრეს იტალიქვეშა ტერორისტული დაჯგუფების „ფთილი ბრიგადების“ 20 წევრი. დამნაშავეთა კონსპირაციულ ბინაში აღმოჩენილია დიდძალი საბრძოლო მასალა, ელექტლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, პორტატიული რადიოსადგურები.

პოლიციის ახლანდელმა ოპერაციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია იტალიის პრესის ფურცლებზე. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ სპპატიმროში აღმოჩნდა რომის გენერალური პროკურატურის ორი მოსამსახურე. მათგან ერთ-ერთს ხელი მიუწვდებოდა ტერორისტთა საქმიანობის გამოძიებასთან, კერძოდ, 1978 წელს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ა. მოროს მოტაცებისა და მკვლელობის გარემოებათა გამორკვევასთან დაკავშირებულ საიდუმლო დოკუმენტებზე. მეორე დაპატიმრებული მუშაობდა იმ სასამართლო უწყების ელექტრონულ-გამოთვლითს ცენტრში, რომელშიც ინახებოდა დაწვრილებითი მონაცემები დამნაშავეთა შესახებ.

საპროგრამო განცხადება

ათენი, 23 მაისი. საბერძნეთის პარლამენტში მთავრობის საპროგრამო განცხადება გააკეთა ქვეყნის ახალმა პრემიერ-მინისტრმა გ. რალისმა.

გ. რალისმა აღნიშნა, რომ მისი კაბინეტი განაგრძობს წინანდელი კაბინეტის ხაზს, რომელიც გადადგა მისი მეთაურის გ. კარამანლისის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით. შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს გ. რალისმა განაცხადა, რომ საბერძნეთს განზრახული აქვს განავითაროს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, კვლავაც დაუჭიროს მხარი დაძაბულობის შენელების პოლიტიკას. „ამასთან დაკავშირებით, — თქვა მან, — საბერძნეთის მთავრობა ემზადება მონაწილეობა მიიღოს ევროპის უშიშროების თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრაში“. სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას, თქვა პრემიერ-მინისტრმა, საბერძნეთი ააგებს ურთიერთპატივისცემის, დამოუკიდებლობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ურთიერთსარგებლობის უზრუნველყოფის საფუძველზე.

ამავე დროს, აღნიშნა მთავრობის მეთაურმა, იგი აპირებს მოლაპარაკება განაგრძოს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირთან საბერძნეთსა და ნატოს შორის არსებული „განსაკუთრებული ურთიერთობის“ საფუძველზე ბლოკის სამხედრო ორგანიზაციაში საბერძნეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბერძნეთს შორის ახალი შეთანხმების დადებას საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის ბაზების შესახებ. გ. რალისი შეეხო სხვა საერთაშორისო საკითხებს და აღნიშნა, რომ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია კვიპროსის პრობლემის მოწესრიგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მან მხარი დაუჭირა თურქეთთან დიალოგის მოწყობასა და ამ ქვეყანასთან უთანხმოების მოწესრიგებას საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა აგრეთვე, რომ კაბინეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „საერთო ბაზარში“ საბერძნეთის შესვლას.

სამხრეთ კორეის ამბები

ტოკიო. 23 მაისი. სეულიდან მიღებული ცნობებით, ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლები უკვე გავრცელდა სამხრეთ კორეის 16 ქალაქში. 200 ათასი აჯანყებული კვაჯუელი ახლა კონტროლს უწევს მთელ ქალაქს.

დღეს აჯანყების შტაბმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც ჩამოთვლილია მოთხოვნები ხელისუფალთა მიმართ. 9-პუნქტიან ულტიმატუმში ნათქვამია: „ცოი კიუ ხას მარიონეტული რეჟიმი უნდა გადადგეს, გენერალი ჩონ დუ ხვანი (სამხრეთ კორეის დაზვერვის შეფი და საზოგადოებრივი უშიშროების ჯარების სარდალი) სიკვდილით უნდა დაისაჯოს, სამხრეთ კორეაში ხელისუფლება დემოკრატიულ ძალთა ხელში უნდა გადავიდეს.

დროებითი პრეზიდენტის ცოი კიუ ხას მითითებით, დღეს კვაჯუში სასწრაფოდ გაფრინდნენ პრემიერ-მინისტრი ჰაკ ჩხუნ ხუნი და კაბინეტის წევრები.

სეულში ამერიკის საელჩოს შენობას იცავენ არმიისა და პოლიციის გაძლიერებული ჯგუფები. ხელისუფალთ და მათს ოკუპანტებს ეშინიათ სეულში არ მოხდეს ანტიამერიკული გამოსვლების ახალი აფეთქებები. საბრძოლოდაა გამზადებული ამერიკის შეერთებული შტატების 40-ათასიანი საოკუპაციო კორპუსი. როგორც დღეს ტოკიოში ამერიკის ელჩმა მ. მენსფილდმა განაცხადა, შეერთებული შტატები „იმდენ ხანს დაეხმარება სეულის რეჟიმს, რამდენ ხანსაც ეს მისთვის საჭირო იქნება“.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ბუჟნინსკიმ ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბირთვული ომი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არ ნიშნავს ცივილიზაციის



არ დავიწყება მეობლისა...

ჩვენი დღეების გამოძახილი: სამაისო მისალოც ბარათზე კრემლი, ნაძვები და ყვავილებია აღბეჭდილი. გაშლილ დროშაზე ამოქარგულია სიტყვები: შრომა, შვიდობა, მაისი. შუაზე გაკეცილ ამ მისალოც ბარათს რომ გაშლით, ხელნაწერი აღიღუნდება: „იოსებ ნონეშვილს! თქვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა მაისის მობრძანება. მაისში დაიბადა მამა თქვენი ელიოზი. მან, რევოლუციონერმა თავის ფესვ-ნერგს დაამყნო უხვმოსავლიანი კვირტი თქვენი სახით, პოეზიის ხვავრეული მოსავლით რომ ახარებს დედასაქართველოს წიგნიერ ხალხს. გილოცავთ მაისის ავარდებულ დღესასწაულს და რევოლუციონერი მამის ელიოზის დაბადების 90-ე წლისთავს“.

პოეტის საოჯახო არქივს შემატებული ეს მისალოცი ბარათი ერთად-ერთი როდია. ამითაც დასტურდება, რომ არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული.

...ეპიზოდი რევოლუციური წარსულიდან: ნისლი იწვა ალაზნის ველზე. ქიზიყი ჭარ-ყინვას უმკლავდებოდა. ღილაადრიან თვითდატვირთული ურემი დაიძრა. ჭარმაგი კაცი კამეჩებს უჯავრდებოდა. თავაში დამალული იყო არა მარტო საბრძოლო იარაღი, რევოლუციური ლიტერატურა, არამედ ახალგაზრდა რევოლუციონერიც.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, თვითონ დატვირთული ურემი შლაგბაუმთან შეაჩერეს. აქ შეიარაღებული თეთრგვარდიელები იდგნენ.

— აბა, გადმოცალე, ურემი, ვნახოთ, რა მიგაქვს!

— ვერა ხედავ? რა მიმაქვს და, თივა!

— გადმოცალე-მეთქი!

— მუდრეგო, გადმოცლა რა საჭიროა, ხიშტი ვაჭეროთ.

მართლაც, ოთხჯერ აძგერეს ხიშტი თივით დატვირთულ ურემს სხვადასხვა ადგილას.

— ახლა წადი, გარეეე კამეჩები! — შესძახეს თეთრგვარდიელებმა.

შეურმემ კამეჩები ააჩქარა. დანიშნულ ადგილზე მისულ თივით დატვირთულ ურემს რევოლუციონერები მოსე ვარამაშვილი, გიორგი მირიანაშვილი, სოლიკო შაიმზელაშვილი, ლადო ბეჟანშვილი, ნიკო კანდელაკი, სიმონ ქუფარაშვილი, ვასო დეჭელაშვილი შემოხვევენენ, ურმიდან რევოლუციური ტვირთი გადმოიღეს, და ძლიერ გადმოიყვანეს ხიშტით დაჩხვლეტილი რევოლუციონერი. ძმებო, წყალიო, — თქვა მან, და იქვე ჩაიკეცა. თურმე მთელი გზა სისხლი წვეთწვეთად სდიოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, უძლებდა. მოასულიერეს, სისხლი მოჭმანეს, ნახიშტარ სხეულზე მალამო წაუსვეს...

1918 წელს მენშევიკური წყვდიადში ეს გაბედული რეისი განხორციელა მაშინ სულ ახალგაზრდა რევოლუციონერმა ელიოზ იოსეს ძე ნონეშვილმა.

მას შემდეგ ოთხი წელიწადი გავიდა, ბევრი კარგიც მოხდა ელიოზის ცხოვრებაში და ცუდიც.

აი ამ ცუდისა და გულსატკენას შესახებ 1922 წლის 16 ივნისს სიღნაღის მაზრის გაზეთი „სამართლე კახეთისა“ წერდა: „ეს იყო კვირა, 9 ივლისი. სიღნაღში შეიქმნა ერთი ფაციფუცი და მოძრაობა. იკრიბებიან პარტიული ამხანაგები და აწყობენ მიცვალებულის გასვენებას სიღნაღიდან კარდანახში. თერთმეტ საათზე დაიძრა სამგლოვიარო პროცესია.

ანაგაში ზარიაულის წყალთან შეეგება პროცესიას დიდძალი ხალხი. ამათაც მოუტანიათ გვირგვინები და დროშები. პროცესია მივიდა სასაფლაოზე კარდანახში. რევოლუციური სიმღერა ხელაღ შემდგარ ჯგუფისა ახმაურებს არემარეს. გამოსასალმებელ სიტყვებს ამბობენ ამხანაგები მ. ვარამაშვილი, კ. მართაშვილი, ს. თავდიშვილი, რ. ხუხუა.

სიტყვებში ჩაქსოვილი იყო ღრმა და წრფელი მწუხარება ელიოზის უდროოდ გარდაცვალების გამო... შესრულდა რევოლუციური ჰიმნები. რაზმი აძლევს სალუტს... აყრიან კუბოს მიწას... ქვითინებს ცოლი, მოსთქვამს დედა. საერთო აზრი გარდაცვლილზე: იგი იყო ღრმად მორწმუნე კომუნარი, და პატიოსნებით აღსავსე მუშაკი. საუკუნოდ დარჩება ხსენება მისი“.

ასე დაიტირა ხალხმა ძველი რევოლუციონერი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ელიოზ ნონეშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თექვსმეტი თვის თავზე.

როგორი იყო გზა, რომელიც განვლო გლეხმა რევოლუციონერმა?

თექვსმეტი წლის კარდანახელი ელიოზი აქტიურად მონაწილეობს სიღნაღის მაზრის გლეხთა 1906 წლის რევოლუციურ გამოსვლებში. რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხდა. მძვინვარე რეაქციის პირობებში იგი განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას მშრომელ გლეხთა შორის. ღრმად აღებეჭდა გულში უფროსი ამხანაგის მოსე ვარამაშვილის სიტყვები: „ბრძოლით უნდა გადავდგათ თითოეული ნაბიჯი ცხოვრების გზაზე, უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ მასებს“.

რეაქციის წლებში ელიოზი ბეჯითად. იმაღლებდა ცოდნის დონეს. ლეკან სამადაშვილმა საკვერაო სკოლაში ელიოზს წერა-კითხვა შეასწავლა. 1916 წელს ელიოზი ბოლშევიკურ პარტიაში შედის.

...მოხდა ოქტომბრის რევოლუცია. როგორც პოეტი იტყოდა, თავისუფლების მზე აანთო, აციურდა. მაგრამ საქართველოში მენშევიკების ბატონობის მძიმე ხანა დადგა. გლეხთა რევოლუციური აჯანყების ალი ხან აქ იფეთქებდა, ხან იქ.

სწორედ ამ დროს, — ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში, — სიღნაღის სამაზრო ბოლშევიკურ ორგანიზაციაში შემოვიდა ამხანაგი ელიოზი . ჩვენ ვიცნობდით მას როგორც სპეტაკ და თავდადებულ მებრძოლ გლეხს. მახსოვს, როდესაც იგი პირველად დაესწრო ქ. სიღნაღში არალეგალურ კრებას, სადაც უშიშრად ამხელდა ქართველი მენშევიკების მოღალატეობას, მოითხოვდა მათ წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას...

მას შემდეგ ელიოზი თავდადებით იბრძვის მაზრის ფარგლებში და კერძოდ კარდანახის ორგანიზაციაში. 1919 წლის 23 ოქტომბერს, სიღნაღის სამაზრო ორგანიზაციამ თითქმის თოფის გაუსროლელად ჩაიგდო ძალაუფლება დაბა ლაგოდეხში, ამ საქმეში დიდ და პასუხსაგებ როლს ასრულებდა ამხანაგი ელიოზი. იგი მშრომელი გლეხობის საკეთილდღეოდ იღვწოდა. მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმებში იყო ასობით პატიოსანი მშრომელი გლეხი, მათ მხარში ედგა ელიოზი.

აჯანყების დამარცხების შემდეგ სხვა რევოლუციონერებთან ერთად ელიოზიც დაატყვევეს და სიღნაღის ციხეში ჩასვეს. პატიმრობას თავი რომ დააღწია, 1920 წლის ნოემბერში სოფელ კარდანახის ბოლოს, სადაც მოწვეული იყო სამაზრო თათბირი, ელიოზი „დასუტაბული, ტიტველ-შიშველი დაესწრო თათბირს, — იგონებს მისი ძველი ამხანაგი ალ. ბანკიევი, — ჩემს შეკითხვაზე — როგორ ჩამოვიდა ამ შუაღამისას ასე დასუსტებული, მიპასუხა: შე კაი კაცო, ადამიანი უნდა ცდილობდეს რაც შეუძლია მეტი გაიკეთოს მშრომელთა საკეთილდღეოდ სიკვდილამდე, თორემ სამარეში ჭიაღუას ისიც ეყოფა, რომ ფერხორცი შეგრჩებაო.

ადაპტირებებმა, მენშევიკების დამქაშებთან შეტაკებებმა, ცხელ და წამებამ გატეხა მისი ჯანმრთელობა, მაგრამ რწმენა ვერაფერმა ვერ შეურყია, რევოლუციურ მუშაობას ვერ ჩამოაშორა. 1920 წელს პარტიის თბილისის საგუბერნიო კომიტეტი ელიოზ ნონეშვილს სიღნაღის მაზრის ინსტრუქტორად გზავნის. ამავე წლის დაწყებულ ელიოზი დელეგატია საქართველოს კომუნისტური პარტიის კონფერენციაზე.

ისევ კახეთი, ისევ რევოლუციური მუშაობა მასებში. „თვალი მოავლეთ ჩვენს ცხოვრებას — მიმართავდა იგი გლეხებს, — ღატაკურ და უუფლებო ცხოვრებას და თქვით, შეიძლება თუ არა მეტის მოთმენა? არა, არ შეიძლება! — ამოიძახებს მრისხანედ გული“.

რევოლუციონერი მუშაობს, მოქმედებს, ცხოვრობს. მენშევიკებს არ სძინავთ, დასდევენ მის კვალს და კვლავ აპატიმრებენ, სიღნაღის ციხეში სვამენ.

და გაიხსენე, მკითხველო ელიოზის ერთადერთი შვილის იოსებ ნონეშვილის პოეტური ამოძახილი: „ჩვენი ბავშვობა მძიმე ყოფილა, მდუღარე ცრემლიც გვახსოვს დედისა, აკვანზე დახრილს მამას — თოფიანს სდიოდა სული ცხელი დენთისა“.

აკვანზე დახრილი ეს თოფიანი მამა სიღნაღის ბნელი ციხიდან ახალი ცხოვრების გზაზე გამოიყვანა 1921 წლის 25 თებერვლის განთიადმა. კახეთმა თავისუფლად ამოისუნთქა. ალაზნის ველი მზის სხივებში გაეხვია.

საბჭოთა საქართველოს პირველი ნაბიჯები! ელიოზი ჯერ კარდანახის, შემდეგ ბაკურციხის რეკვიზიციის თავმჯდომარეა. თავის დროზე აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის დელეგატი სიღნაღის მაზრისაგან (ბაქო, 1920 წელი) ელიოზ ნონეშვილი 1921 წლის თებერვალს მონაწილეობდა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის მუშაობაში როგორც დელეგატი სიღნაღის მაზრისაგან.

სრულიად ახალგაზრდა, ოცდათორმეტი წლისა დაკარგა ხალხმა თავისი ერთგული შვილი. მაშინ იგი კარდანახის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ასახვას მთელი ორი გვერდი მიუძღვნა სიღნაღის სამაზრო გაზეთმა 1922 წლის ცხრა ივლისს. მასალებს შორის იყო ლექსი მიხეილ ნასიძისა, რომლის შემოქმედება თავის დროზე ამშვენებდა „ივერიის“ ფურცლებს.

დაუვიწყარია ხსოვნა მშობლისა, რომლის გული თავისუფლებისათვის ძგერდა. და, მართლაც, ათასჯერ მართალია პოეტი იოსებ ნონეშვილი, როცა უმღერის რევოლუციის ვეტერანებს:

„მათი გუგუნი ისევ მოგვესმის,
ისევ სწყურიათ ჩვენთან
ცხოვრება.
ვერ ეტეოდნენ
ჰორიზონტებშიც,
ალბათ საფლავიც ევიწროებათ.
ეწირებოდნენ დროშებს
ნატყვიარს,
ერთი მიზნით და
სულისკვეთებით.
ჩამხედეთ არაგვს, ახლაც
ატყვიათ
კალმახებს მათი სისხლის
წვეთები“.

ს. ყურაშვილი.

სურათზე: ელიოზ ნონეშვილი.

ოლიმპიელებმა გაიმარჯვეს

სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდისა და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების გუშინდელი შეხვედრის პირველ ტაიმში ტერიტორიული უპირატესობის რეალიზება საბჭოთა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს. გავრილოვისა და ჩერენკოვის რამდენიმე დარტყმა უზუსტო გამოდგა და მაინც, ფრანგების კართან ყველაზე სახიფათო ვითარება დაახლოებით მუ-15 წუთზე შეიქმნა, როცა გავრილოვი მეკარის პირისპირ დარჩა, მან ბურთს სწორი მისამართი ვერ მოუძებნა და მეკარემ იგი კუთხურზე გადაიყვანა.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდის წევრთა იერიშები გაცილებით მწვავე ხასიათს ატარებდა, მაგრამ ბურთმა მხოლოდ ერთხელ გადალახა კარისა და საჯარიმო მოედნის თეთრი ხაზი. ეს მოხდა მატჩის დასასრულს, 84-ე წუთზე, როცა შავლოს ჩაწოდებული ბურთი ჩერენკოვმა თავური დარტყმით კარის მიმართულებით ზუსტად გაგზავნა. სამბჭოთა ოლიმპიელებმა საფრანგეთის ნაკრების სახით ძლიერი მეტოქე დაამარცხეს — 1:0.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, როდინი, ჩივაძე, ხიდიატულინი, რომანცევი, შავლო, ანდრეევი, ბესონოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, ჩელებაძე.

გუგოლინოს საერთაშორისო

იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ბოლო ტურის წინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. კარპოვმა 65-ე სვლაზე დაამარცხა ტიმანი. ლარსენმა სამივე გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრა: ანდერსონთან, ივკოვთან და კუტრაიცასთან. ასევე დაზავდნენ პოლუგაევსკი-ივკოვი, კავალეკ-ლუბოევიჩი და გლიგორიჩ-ლუბოევიჩი.

უკანასკნელი ტურის წინ ასპარეზობას ლიდერობენ ორნი: ლარსენი და კარპოვი. მათ 7-7 ქულა დააგროვეს. ერთი ქულით ნაკლები აქვს ტიმანს. ანდერსონს — 5,5, ხოლო პოლუგაევსკისა და ლუბოევიჩს — 5-5 ქულა აქვთ.

კარპოვი ბოლო შეხვედრას გამართავს გლიგორიჩთან, ლარსენი — ლუბოევიჩთან, ტიმანი — ჰორტთან, ხოლო ანდერსონი — კუტრაიცასთან.

კალათბურთი დასავლეთს

ბაქრაძის მასწავლებლად წოდებულ ... ...